# ანზელოზის ფრესკა

დღეს ანგელოზის ფრესკა მაჩვენა,
დიდთვალება და გრძელი ფრთიანი,
ზედ მიაშვირა ხელი მარჯვენა,
ნახატს მიხსნიდა ტკბილი ხმიანი.
მოსწონდა, ხატი რომ ბრწყინვალებდა
თამარისეულ დროის დიდებით,
ცოცხალ ფრესკას კი ადგა ნათელი
და პირს ეფრქვია მარგალიტები.

და უცბად მივხვდი მე, აბნეული
რომ ორ ანგელოზს შუა ვიდექი
და ჰგავდა თვითონ სპეტაკ დილას,
როცა პირველად მზემ გაანათა,
სერაბიმი კი, მან რომ დაჩრდილა,
ჩემ წინ ჭკნებოდა თანისთანადა.

ერთის უღირსი, ვიდექ ორშუა,
გულში მათოვდა ვარდის ნათელი,
იქ, სადაც შავი მორევი შხუის ÷
და მტკვარი მოჰქუხს კორიანტელით.